CPV45112720 ,,ქ.ამბროლაურში კოსტავას ქუჩის მიმდებარედ არსებული ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების'' შესყიდვის აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სატენდერო კომისიის

სხდომის ოქმი N1

ქ. ამბროლაური

02 აგვისტო 2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე - რატი ნამგალაძე- ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი. სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე - დავით გოგლიძე - ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ვიცე მერი;

კომისიის წევრები:

1. გიორგი გოძიაშვილი - ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი;
2. ბეჟან კობახიძე - ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი;
3. გიორგი გაგოშიძე - ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი;
4. მიხეილ დალაქიშვილი - ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი.

საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ზვიად მხეიძე - ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

აპარატის წევრები:

1. ხათუნა ონაშვილი - ქ.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის მთავარი სპეციალისტი;
2. ირმა ფრუიძე - ქ.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. თამარ ქევანაშვილი - ქ. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული განყოფილების უფროსი;

საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა ფატიმა კერესელიძე - ქ.ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

<u>დღის წესრიგი</u>

,,ქ.ამბროლაურში კოსტავას ქუჩის მიმდებარედ არსებული ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების'' შესყიდვის მიზნით სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების განხილვა და დამტკიცება.

განიხილა

სატენდერო აპარატის წევრმა ხათუნა ონაშვილმა სატენდერო კომისიას წარუდგინა სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.

სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე შესრულების ვადად განისაზღვრა 90 დღე. ვინაიდან შესრულება უნდა განხორციელდეს შემოდგომაზე, როცა ამინდები არასტაბილურია და ამასთანავე, აღნიშნული სამუშაოები მოიცავს ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობას, რომელიც ითვალისწინებს გარკვეული პირობების დაცვას - პრეტენდენტის მიმართ განისაზღვრა შემდეგი მოთხოვნა: პრეტენდენტს შესრულებული უნდა ჰქონდეს სამშენებლო/სარემონტო სამუშაოები, არანაკლებ 50 000 ლარის ღირებულების ერთ ობიექტზე.

სატენდერო კომისიამ განიხილა წარმოდგენილი დოკუმენტაცია და აღნიშნა, რომ იგი შეესაბამება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ წესის'' მოთხოვნებს.

კომისიამ დაადგინა

1. დამტკიცდეს ,,ქ.ამბროლაურში კოსტავას ქუჩის მიმდებარედ არსებული ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების'' შესყიდვის მიზნით, აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი;
2. დაევალოს სატენდერო აპარატის წევრს ხათუნა ონაშვილს სისტემაში ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობებით აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის გამოცხადება არაუგვიანეს 2017 წლის 02 აგვისტოს.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე — რატი ნამგალაძე

თავმჯდომარის მოადგილე — დავით გოგლიძე

კომისიის წევრები:

გიორგი გოძიაშვილი

ბეჟან კობახიძე

გიორგი გაგოშიძე

მიხეილ დალაქიშვილი

სხდომის მდივანი — ხათუნა ონაშვილი